



საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებშია მომზადებული. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. გაფორმებული

ანკეტა-მემორანდუმზე დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშვნიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.


მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: <http://www.lanchkhuti.org.ge/>; <http://chokhatauri.ge/>

გამოცემის ამ და შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ საინტერესო მასალებს გურიის ისტორიიდან, რომლებიც თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიმდინარეობას ასახავენ. მასალები აღებულია ბრიზოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com/](http://www.aboutguria.blogspot.com/)

ლევან მჭავანაძე,  
პროექტის კოორდინატორი

## სამოქალაქო თვითმმართველობა გურიაში

მასალა აღებულია ბრიზოლ მახარაძის ინტერნეტ-ბლოგიდან [www.aboutguria.blogspot.com](http://www.aboutguria.blogspot.com)



### ოზურგეთის ხედი, 1878 წ. ერმაკოვის ფოტო

ფეოდალური ხანის გურიაში ადგილობრივი მმართველობა ეფუძნებოდა სამთავროს სამოურავოებად დაყოფის პრინციპს. რუსეთთან შეერთების წინ გურიაში ორი სამურავო იყო: ნაგომრისა და ოზურგეთის. ნაგომრის სამოურავო მოიცავდა 64 სოფელს, ხოლო ოზურგეთისა - 62-ს.

გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, გურია დაიყო გურიანთის, ოზურგეთის, ბახვის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ნაგომრისა და აკეთის უჩასტკებად. 1840 წელს, შეიქმნა ოზურგეთის მაზრა და ოზურგეთი გამოცხადდა სამაზრო ქალაქად, მაგრამ საქალაქო თვითმმართველობა მას არ მიანიჭებია. მაზრა იმართებოდა საპოლიციო წესით, მაზრის უფროსი მიერ, რომელსაც ხელისუფლება ნიშნავდა. 1866-82 წლებში ოზურგეთის მაზრის უფროსი იყო პორუჩიკი ოტია დადიანი იყო შემდგომში პოლკოვნიკი და გენერალ-მაიორი. მაზრა იყოფოდა საპოლიციო უბნებად და სასოფლო საზოგადოებებად. საპოლიციო უბანს ხელმძღვანელობდა პრისტავი, ხოლო სასო-

ფლო საზოგადოებას - მამასახლისი. მამასახლისებს ნიშნავდა პრისტავი, ხოლო პრისტავი, თავის მხრივ, მაზრის უფროსს ექვემდებარებოდა. თანამდებობათა ასეთი იერარქიით უზრუნველყოფილი იყო მმართველობის ცენტრალიზებული წესი.

### სოფლის ყრილობა

მიხეილ რომანოვის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის შემდეგ 1865 წლის 11 აპრილს ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობები, სოფლის ყრილობები. ამით გაჩნდა თვითმმართველობის საწყისი სოფლად.

ახალი წესით სოფლის ყრილობა ყრილობა იკრიბებოდა საჭიროებისამებრ, მას იწვევდა სოფელი ან მამასახლისი. ხალხს ყრილობის შესახებ აფრთხილებდა გზირი. ყრილობაში მონაწილეობდა სოფელში მცხოვრები ოჯახიდან ერთი მამაკაცი, ქალები და ბავშვები არ დაიშვებოდნენ. ყრილობას მოსახლეობის ნახევარზე მეტი უნდა დასწრებოდა და გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით უნდა მიეღო.

ყრილობას ხელმძღვანელობდა მამასახლისი და ინერებოდა ოქმი. კრება წყვეტდა საკითხებს, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა სასოფლო საზოგადოებას:

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაგეგმვა;
- სოფლის კეთილმოწყობა;
- ხიდების და გზების შენახვა;
- ობლების მოვლა-პატრონობა;
- გადასახადების განერა და აკრეფა;

კრება ირჩევდა მამასახლისს, მის სამ თანამშენს და სამ მოსამართლეს სამი წლის ვადით. მამასახლისის საქმიანობა ანაზღაურებადი არ იყო, ის იღებდა მხოლოდ თანხას ბეჭდისთვის.

სახელმწიფოს სოფლებზე ფართობის მიხედვით ჰქონდა დაწესებული გადასახადი ე.წ. ფოშტის ფული. ამ გადასახადის აკრეფას კომლებს შორის ანაზღაურებად სოფლის კრება, კრება ათავისუფლებდა გაჭირვებულ ოჯახებს გადასახადისგან.

კრება ასევე ითავსებდა სამართლოს ფუნქციას სამოქალაქო საქმეებსა და ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, სასჯელის სახით იყენებდა საზოგადოებ-

ისთვის სასარგებლო შრომასა და ფულადი ჯარიმებს.

ისიძორე რამიშვილი იხსენებდა, რომ გურიაში ხალხს ერობის შემოღება გააცნო მაზრის უფროსის მოადგილე ანტონ ნაკაშიძემ. სურების თემის პირველი მამასახლისი იყო მოსე მამუკას ძე რამიშვილი, რომელმაც საცალფეხო ბილიკის ნაცვლად სოფელში საცხენოსნო შარა გაიყვანა.

1905 წლისთვის გურიაში 25 სასოფლო საზოგადოება არსებობდა.

### სამოქალაქო თვითმმართველობა

საქალაქო დებულება, რომლითაც იმპერიის ზოგ ქალაქს მიენიჭა თვითმმართველობის უფლება 1870 წელს, არ შეეხო ოზურგეთს. ოზურგეთმა ეს სტატუსი მიიღო 1896 წელს, როცა მოქმედებდა იმპერატორ ალექსანდრე მესამის მიერ შეცვლილი ახალი საქალაქო დებულება, რომელიც 1870 წლის დებულებასთან შედარებით, უფრო ავინოვებდა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებას და უფრო ზღუდავდა თვითმმართველობის უფლებებს.

საქალაქო თვითმმართველობის პირველი არჩევნები ოზურგეთში ჩატარდა 1896 წელს. თვითმმართველობა შედგებოდა ქალაქის საბჭოსგან (საკრებულო), სადაც შედიოდა 15 წევრი, ქალაქის თავისგან (მერი) და მისი ამხანაგისგან (მოადგილე). ქალაქის თავი საბჭოს მიერ აირჩეოდა და გადაყენებაც მასვე შეეძლო. საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ მსხვილ სახლის პატრონებსა და მსხვილ ვაჭრებს. პირველი მოწვევის თვითმმართველობის საქმიანობაზე აღტაცებული წერს თედო სახოკია:

საზოგადოდ, მთელ ქალაქსა და კერძოდ ამ „ამხანაგობათა“ და დაწესებულებათა დარაჯად უდგა ქალაქის თვითმმართველობა, შემოღებული 1896 წელს. ქალაქის თავად მოწვეული ჰყავთ ახალგაზრდა უნივერსიტანტი, ოზურგეთის მაზრისავე მკვიდრი. რაც აქამდე დააკლდა ქალაქს უპატრონობითა და მოუვლელით, ახლა ცდილობს თვითმმართველობა, შეივსოს. მართალია, მთელი წლიური ბიუჯეტი ქალაქისა სამას-ოთხას თუმანს არ აღემატება, მაგრამ ამით გულს არ იტეხს თვითმმართველობა, გაორკეცებული მხნეობით ეკიდება ყოველსავე დაბრკოლებას. ბევრი კითხვები აღძრა თვითმმართველობამ, რომელთაც სამაზრო მნიშვნელობაც აქვთ. თვითმმართველობამ შეაფასებინა ქალაქის უძრავი ქონება შემოსავლის კვალობაზე. თვითმმართველობა ცდილობს ოზურგეთში სავაჭო პროგიმნაზია დააარსოს, თვითმმართველობამ გაუხსნა მკვიდრთ სავაჭო წიგნთსაცავი, თვითმმართველობავე ცდილობს სამუდამო თეატრი შეაქმნინოს ოზურგეთსა, ბოლოს, თვითმმართველობავე თავობს ოზურგეთში საექიმო თავშესაფარის დაარსებას და ექიმის მოწვევასა და სხვ...

სანუგეშო ის არის, რომ იმ დროს, როცა ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებსა, იმათაც კი, სადაც თვითმმართველობა არის შემოღებული, საღათას ძილითა სძინავთ, ოზურგეთი, ეს პატარა და ღარიბი ქალაქი, წელეზე ფეხს იდგამს, ანუხებს ცასა და ქვეყანას: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!... აქაც ყველაზე მეტად აშკარად ჩანს გურულის ცოცხალი ბუნება: ათასნაირ გზას ეძებს - გასაჭირს მოუაროს, ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმე. გულს იმედი გესახებათ, როცა იმათ უყურებთ...

თვითმმართველობა ქალაქისა ცდილობს ამ ბაღს ცოტა რიგიანი სახე მისცეს და მართლა ბაღს დაამსგავსოს, რომ ერთ დროს მაინც ოზურგეთელებს ერთი საზოგადო თავშესაფარებელი ადგილი ჰქონდეთ

გარდა იმ საქმეებისა, რასაც სახოკია იხსენებს, ქალაქის თვითმმართველობა, როგორც 1896 წლის, ასევე 1900 წლის მოწვევისა, აქტიურად ლობივებდა ოზურგეთში რკინიგზის შეყვანას.

დასასრული მე-2 გვერდზე




# საქალაქო თვითმმართველობა გურიაში

დასასრული

ეროზა

არჩევნები ტარდებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. ცნობილია 1900-1904 წლის ქალაქის საბჭოს შემადგენლობა 1900 წლის 20 მარტის არჩევნების შემდეგ (წყარო: „ცნობის ფურცელი“ 28 მარტი, 1900 წ.).

1. თავადი ტიფო დიმიტრის ძე



ფოტოზე: დიუბუა დე მონპერეს ჩანახატი - შემოქმედის მონასტერი

- ნაკაშიძე, მომრიგებელი მოსამართლე
- 2. ვასილ ხუნდაძე, პროვიზორი
- 3. სამსონ ვაშაყმაძე, კბილის ექიმი
- 4. გიორგი მარგალიტაძე, მასწავლებელი
- 5. სოლომონ ჭეიშვილი, ასკანელი მეღვინე, მეცენატი
- 6. პლატონ ბერიძე, ექიმი
- 7. ანდრია ივანოვი, აქციზის მოხელე
- 8. რაჟდენ წუნუნავა, მეეტლეთა ამხანაგობის თავმჯდომარე
- 9. დომენტი შავიშვილი, კომერსანტი
- 10. კონსტანტინე კვაშალი, აზნაური
- 11. იაგორ ჭელიძე
- 12. ალმასხან ურუშაძე,
- 13. ილიკო გოგელია,
- 14. ნიკო მარაშენიძე,
- 15. სამოველ სიამაშვილი

ქალაქის თავი **ვასილ ხუნდაძე** იყო, რომელმაც სერზე ბალი გააშენა. 1905 წლის ნოემბერში, გურიის რესპუბლიკის დროს, ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, სქესის განურჩევლად. 1910-იან წლებში ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრი და ქალაქის თავი იყო მაზრის ექიმი დიმიტრი ერისთავი. ერისთავი ქალაქის თვითმმართველობაში წარმოადგენდა მემარცხენე ოპოზიციას. იყო ქალაქში საშუალო სასწავლებლის გახსნის ერთ-ერთი მოთავე. დახმარებას უწევდა ქალაქის თეატრისა და კინოს მუშაობას, ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობაზე. 1916-18 წლებში ქალაქის საბჭოს წევრი იყო ცნობილი კინოპროდიუსერი გერმანე გოგიტიძე, რომელმაც გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“ და რომელსაც ოზურგეთში ამ წლებში კინოთეატრი ჰქონდა გახსნილი. ასევე ცნობილია, რომ 1918 წლის ზაფხულში ქალაქის საბჭოს დადგენილებით გადადგა ქალაქის თავი, მის ნაცვლად აირჩიეს გიორგი ექვთიმეს ძე მურვანიძე, მის ამხანაგად სიმონ ცხომელიძე. მურვანიძე ამავე დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო.

პირველი რესპუბლიკის დროს განხორციელდა საერობო რეფორმა. 1918 წელს ჩატარდა საერობო რეფორმის პირველი ეტაპი და არჩევნები. (გარდა საომარი რეგიონებისა). 1919 წელს ამოქმედდა ადმინისტრაციული მოწყობის ახალი წესი, შეიქმნა მაზრის ეროზა და სამაზრო გამგეობა. ერ-

ოზებმა იმუშავეს 1921 წლამდე. ამ პერიოდის თვითმმართველობის შესახებ ცნობებს ვხვდებით კარლ კაუციუს ნიგნში „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა - შთაბეჭდილებები და დაკვირვებები“. რევოლუციამ საქართველოს მაზრებისა და მუნიციპალიტეტების სრული თვითმმართველობა მოუტანა. ეს თვითმმართველობა უნდა შექმნილიყო დე იურო ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული სახელმწიფო მეურვეობის ნაცვლად. ის განიცდიდა გამოცდილებისა და ზოგიერთი აუცილებელი რესურსის ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე ვიხილეთ, რომ ზოგი დიდი სასოფლო-სამეურნეო სანარმო გადაეცა მუნიციპალიტეტებს. ადგილობრივმა საკრებულოებმა შემოიღეს სამედიცინო მომსახურების რეგულაცია, დააარსეს ამბულატორიები, ფაბრიკები და სანარმოები ადგილობრივი ნედლეულის დასამუშავებლად, გასწიეს დრენაჟის და საირიგაციო სამუშაოები. ოცდაერთი საკრებულო გაერთიანებულია კავშირში, რომელიც ატარებს კონგრესებს ინფორმაციის შეგროვებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. კავშირს დანიშნული ჰყავს ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობს მუნიციპალიტეტების თითოეულ სანარმოს და სთავაზობს მათ რჩევებს. ეს ინსტიტუტები მეტისმეტად ახლები არიან გადანყვებილებების მიღების უფლებამოსილების მისანიჭებლად, მაგრამ უკვე იგრძნობა მათი ჯანსაღი გულისცემა და გზა, რომელსაც ისინი ადგანან, უკვე სავესებით იმედისმომცემია. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ხელისუფლების ცენტრალიზაციის პირობებში თვითმმართველობაზე საუბარი ზედმეტია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ოზურგეთში საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები სამჯერ, 1998, 2002 და 2014 წლებში ჩატარდა. აქედან 1998 წელს მხოლოდ საკრებულო, 2002 და 2014 წლებში კი საკრებულოცა და მერიც პირდაპირ ხალხის მიერ იყო არჩეული.

# გლეხთა მოძრაობა გურიაში 1902

საქართველოში მიმდინარე გლეხთა მოძრაობებიდან, შეიძლება ითქვას, ყველაზე ძლიერი და გავლენიანი გურიის გლეხთა მოძრაობა აღმოჩნდა.

გურიის სოციალ-დემოკრატიული გლეხთა კომიტეტი 1890-იან წლებში შედგა. გურულებმა სწრაფად აითვისეს და გაითავისეს მარქსიზმი. ნოე ყორღანია იხსენებდა, რომ გურული გლეხი მარქსის ზედმეტი ლიბერლების თეორიაზე ამბობდა, სულ მეგონა ხაზინი მე მარჩენდა ახლა გავიგე, რომ ხაზინს თურმე მე ვარჩენო.

ამ დროს სოციალ-დემოკრატი მესამე დასელების მოთხოვნებში იყო გლეხობის საკითხები, მინის ჩამორთმევა მემამულეებისთვის და გლეხობისთვის გადაცემა. ქალაქების ორგანიზაციებს რატომღაც ემინოდათ სასოფლო გლეხური ორგანიზაციებისა, ასე მაგალითად კომიტეტი ხონის დაუქვემდებარეს ქუთაისის კომიტეტს. ბათუმის კომიტეტი ითხოვდა გურიის კომიტეტის მისდამი დაქვემდებარებას და მიადნა კიდევ დიდი ბრძოლითა და დავიდარბით გურიის კომიტეტმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. ამ დროს საქართველოში მოქმედი სოც.-დემ. ორგანიზაციები იღვწოდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთი საერთო მაკორდინებული ორგანო არ ჰქონიათ.

გურიის გლეხთა მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1902 წელს. ამის მიზეზი გარდა გლეხობის გაჭირვებისა და ფეოდალების მიერ მათი ჩაგვრისა, 1901-02 წლების მოუსავლიანობაც იყო.

გლეხების გააქტიურებას ხელი შეუწყო 1902 წლის მარტში ბათუმის მუშათა დემონსტრაციამ და შემდგომ გატარებულმა რეპრესიებმა. მოგვიანებით სწორად შენიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსმა ლაზარენკომ, ოდესაში გამართულ სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, რომ აჯანყება ბათუმში დაიწყო და შემდეგ გადმოიხანცვლა გურიაში,

ბათუმში რეგიონის ყველაზე დიდი ქალაქი და გურიის მოსახლეობის ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრი იყო. მთელი კასპის ნავთობი სწორედ აქ იყრიდა თავს. გურულები უდიდესი კომპანიების (მათ შორის - როტშილდისა და ნობელის) საცავებსა და გადამამუშავებელ ქარხნებში მუშაობდნენ. პროლეტარიატში მარქსიზმისა და რევოლუციური მოძღვრების ფართოდ გავრცელების, მუშათა ხშირი გამოსვლებისა და სახელმწიფო რეპრესიების გამო ბევრმა კომპანიამ (მათ შორის ნობელმა) დახურა თავისი საწარმოები და განწნა უამრავი უმუშევარი. უმუშევარი გურულები, დაბრუნდნენ მშობლიურ მხარეში და მთავრობის სანაღმდეგო აგიტაცია დაიწყეს. ბათუმიდან გადმოსახლებულ მუშათა შორის იყვნენ ისინი მეგრულიძე, გოგოლი ცინცაძე, სევასტი მურმანიძე. შემოქმედის მკვიდრებმა ილარიონ და დარისპან დარახველიძეებმა შექმნეს მუშათა ორგანიზაცია.

ბიბლიოთეკა-სამკითხველობის სიმრავლე, განათლებისა და ინფორმაციის გავრცელება გლეხთა მოძრაობის გააქტიურების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო.

პირველი მიტინგი სოფელ მოცენარში გაიმართა. ბათუმიდან დაბრუნებულმა რევოლუციონერმა პროკოფი დოლიძემ მოუწოდა ხალხს, რომ მათ არაფრად სჭირდებოდათ მთავრობა და თავადაც კარგად მიხედავდნენ საკუთარ საქმეს; რომ მიწების მეპატრონეებს ძალიან ბევრს



ფოტოზე: გურიის გლეხთა რევოლუციური კომიტეტი

უხდიან - ერთ მეოთხედს და ეს ერთ მეთაედამდე უნდა შემცირდეს; რომ ტყეში შუშის მოჭრა და მასალის დამზადება უფასო უნდა იყოს; რომ საეკლესიო გადასახადი (ე.წ. დრამის ფული) არ უნდა გადაიხადონ; რომ თავადაზნაურობას მოჯამაგირე და მოსამსახურე არ უნდა ჰყავდეს და სხვ.

1902 წლის აჯანყების დაწყების კერად ნიგოთი იქცა. ნიგოთის მფლობელი თავადი მაჭუტაძეები ძლიერ ავიწროვებდნენ გლეხებს, იჯარაში შემოსავლის ნახევარს ართმევდნენ, ტყითა და საბალახოებით სარგებლობისთვის და დიდ გადასახადებს ახდევინებდნენ. გლეხები სტიქიურად აჯანყდნენ საძოვრებზე დავის გამო, მალე ამ აჯანყებას სათვეში ჩაუშვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

მაისის დასაწყისში ნიგოთში გლეხები მაჭუტაძეებს დაუპირისპირდნენ. გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც ადგილობრივი მასწავლებელი - უნივერსიტეტიდან გარიცხული გრიგოლ ურატაძე ხელმძღვანელობდა. მოთხოვნები იგივე იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სოც.-დემ. ორგანიზაციის პირველი შეიარაღებული გამოსვლა გურიაში. ნიგოთელ გლეხთა გამოსვლების ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ გურიაში. ნიგოთის ბრძოლას გამოეხმაურნენ და შეუერთდნენ სოფლები: ჩოჩხათი, სუფსა, მიქელ-გაბრიელი, ხვარბეთი, დვაბუზი, ძიმითი, მამათი და ჯუმათი.

მალე გლეხთა გამოსვლებმა მთელი გურია მოიცვა. გლეხები ლამაზობით იკრიბებოდნენ და ღია ცის ქვეშ ატარებდნენ დიდ კრებებს, სადაც იხილავდნენ ღალისა და საიჯარო ფასის საკითხებს. კრებაზე მსჯელობდნენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და აყალიბებდნენ მოთხოვნებს: ღალისა და საიჯარო ფასების შემცირებას, საძოვრებზე და ტყეზე გადასახადების ფასის მოსპობას შესახებ, საეკლესიო გადასახადების მოსპობას. პროცესებს მთლიანად ადგილობრივი ლიდერები წარმართავდნენ.

1902 წლის ივნისში აჯანყება დამარცხდა. ქუთაისის გუბერნატორმა სმაგინმა მიტინგების მოთავეები, სულ სამოცი კაცი, დაიბარა თავისთან მოლაპარაკებაზე და ყველანი ციხეში ჩაყარა. სმაგინის რეზიდენციას ქუთაისში მიადგა გურულების დელეგაცია და დაპატიმრებულების გამოშვება მოითხოვა. სმაგინმა ყველა იქვე გაროზგინა. ერთ-ერთი გაროზგინს, ხნიერი გლეხს უთქვამს „რა ქებით ახლა მაგით, რაც ვიყავი, ისევ ის ივანიკა გოგიძე ვარ, მარა უფრო მეტად მძულხარით“. მასო-

ბრივი რეპრესიების დროს 200 გურული დაიჭირეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს, მათ შორის იყვნენ სილიბის-ტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი და ყორღანია, რომელიც ლანჩხუთში დროებით იმყოფებოდა. მთავრობამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დახურა არგუმენტით „ნიგნის კითხვამ გურულები გადარიაო“. თუმცა მთავრობა მიხვდა, რომ რეპრესიებით ვერ ვერაფერს მიაღწევდა, ამიტომ ტყვეებიც მალე გაათავისუფლა და ქუთაისის გუბერნატორადაც ლიბერალობით ცნობილი სტაროსელსკი დანიშნა. სტაროსელსკი კი ფარულად სოციალ-დემოკრატებს თანაუგრძნობდა და ხელსაც უწყობდა

შემდგომში რსდმპ კავკასიის კავშირმა გურიის მოძრაობა ასე აღწერა: ვისაც კი ერთხელ გაუვლია გურიაში, ვინც კი ოდნავ ჩაკვირვებია სოფელთა ცხოვრებას, ადვილად შეამჩნევდა, თუ რა ალუნერელი მდგომარეობა ტრიალებს მათ შორის. დელდალამე მუშაობა, ფეხშიშველი, ნახევრად მშიერ-მწყურვალ და სამაგეროდ ამისა სიღარიბე, სიბეჭვე, საზოგადოდ აუტანელი მდგომარეობა, ცხოვრებას მათთვის ნაუჭერი ხელი შიგ ყელში და ნახრობას უქადის, ყველას სახეზე აზის ბეჭედი დიდი გაჭირვების, ნვლებისა და უიმედობის, ფიქრი მომავალზე, თუ რითი გამოკვების თავისი წვრილი შვილები, რითი გაისტუმროს კარზე მომდგარი მოხელე, მღვდელი და მეფახში, არ აძლევს მას მოსვენებას

ყველა მისი ბატონი და მბრძანებელია, დაწყებული უმაღლესი მთავრობისგან, დამთავრებული უკანასკნელ სოფლის მოხელემდე. გული მოგიკვდება კაცს, როცა სოფლის კანცელარიაზე ხედავ მათხარით ხელში გამოჭიბული მოხელე მზადაა თითო მათხარი ყველას გადაუჭიროს და ეს ისეთი ჩვეულებრივი თითქოს არაფერი მომხდარიყოს, არავის პიროვნება არ შელახულიყოს, ასე ადვილი გასათელია დღეს მათი ადამიანური ღირსება

მთავრობის სანაღმდეგო მოძრაობამ მოიცვა მთელი მაზრა, საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები ძლიერი სისწრაფით მრავლდებიან და მთელი კუთხე აკლებულია რევოლუციონერებისგან

1902, 1903 წლები და 1904 წლის დასაწყისი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას დასჭირდა. 1904 წ. რუსი ტერორისტი ვ. ტარატუტა იყო ბათუმში და აღწერა ბათუმის მუშათა და გურიის გლეხთა მოძრაობა. 1904 წლის ბოლოსთვის გურიის მთელი მოსახლეობა რევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩაბმული და „გურიის კომიტეტი“ უკვე მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას

**გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგაზეთო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას**